

N 164

31/05/2019

ფაქტ მეტრის რედაქტორს ბატონ დავით ქუტიძეს

ბატონო დავით,

თქვენი, 2019 წლის 10 მაისის N 86 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ, 2013-2017 წლებში საქართველოს მთავრობის განკარგულებების საფუძველზე შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“ დაევალა საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის კმ117 - კმ119 (კვარიათი სარფის) მონაკვეთის ზღვის სანაპირო ზოლის გასწვრივ) აღდგენა-გამაგრების, ქვის ცვენისაგან დაცვისა და ფერდობების გამაგრების სამუშაოების განხორციელება.

სამუშაოები უნდა განხორციელდებულყო პროექტირების პარალელურად, ეტაპობრივად, შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად.

სულ პროექტის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებამ შეადგინა 57 514 777 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

აღნიშნული პროექტით გათვალისწინებული იყო:

1. საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის სარფი-კვარიათის სანაპირო ზოლის კმ117-კმ119 (კალენდერეს კონცხის მონაკვეთი) ნაპირსამაგრი ნაგებობის სამშენებლო სამუშაოები (პროექტი სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 43 397 870 ლარი); დაუმთავრებელია - შესრულებულია 23 729 246 ლარის სამუშაოები;
2. საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის კმ118+960-კმ119+205 მონაკვეთზე არსებული ესტაკადის ზღვის ზემოქმედების შედეგად გამორეცხვის საწინააღმდეგო ღონისძიებების, გზის სავალი ნაწილისა და მიწის ვაკის აღდგენის სამუშაოები. (პროექტი სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 2 273 180 ლარი); სამუშაოები დასრულებულია 1 356 550 ლარად.
3. საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის კმ117 - კმ119 მონაკვეთზე მთის ფერდობის ჩამოწმენდისა და გამაგრების სამუშაოები. (პროექტი, სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 4 241 630 ლარი); სამუშაოები დასრულებულია 4 085 786 ლარად.
4. საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის სარფის მონაკვეთზე (კმ119) ნაპირდამცავი ნაგებობის რეკონსტრუქციის და ნაპირის (პლაჟის) აღდგენითი სამუშაოები. (პროექტი, სახარჯთაღრიცხვო

ღირებულებით 2 336 757 ლარი); დაუმთავრებელია - შესრულებულია 77 220 ლარის სამუშაოები;

5. საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის სარფის მონაკვეთზე (კმ119) ნაპირდამცავი ნაგებობის რეკონსტრუქციის და ნაპირის (პლაჟის) აღდგენითი სამუშაოები. (პროექტი, სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 5 265 340 ლარი); სამუშაოები დასრულებულია 4 997 770 ლარად.

აღნიშნული სამშენებლო სამუშაოების დაფინანსების მიზნით, საქართველოს მთავრობის განკარგულებების საფუძველზე, 2013 – 2017 წლებში, შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“ სახელმწიფოს ბიუჯეტიდან გამოეყო 45 000 000 ლარი.

მიმდინარე წლის 1 მაისის მდგომარეობით, სამშენებლო კომპანიის მიერ შესრულებული სამუშაოებისა და შესყიდული თანმდევი მომსახურების ღირებულება შეადგენს 35 162 735 ლარს. (მ.შ. წარმოდგენილი ფორმა N2-ების მიხედვით ნაზარდი ჯამია 34 246 573 ლარი, ხოლო შესყიდული მომსახურება: როგორცაა ექსპერტიზის, ზედამხედველობისა და პროექტირებებზე გაწეული ხარჯები შეადგენს 916 163 ლარს). აღნიშნული სამუშაოების მოცულობები და ფაქტიურად გაწეულიშესწავლილი და დადასტურებულია სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ. რაზედაც არის შესაბამისი დასკვნები.

ზემოთ აღნიშნული ხუთი პროექტიდან, ამჟამად სამუშაოები მთლიანად დასრულებულია:

- საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის კმ118+960-კმ119+205 მონაკვეთზე არსებული ესტაკადის ზღვის ზემოქმედების შედეგად გამორეცხვის საწინააღმდეგო ღონისძიებების, გზის სავალი ნაწილისა და მიწის ვაკისის აღდგენის სამუშაოები.
- საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის კმ117 - კმ119 მონაკვეთზე მთის ფერდობის ჩამოწმენდისა და გამაგრების სამუშაოები.
- საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის სარფის მონაკვეთზე (კმ119) ნაპირდამცავი ნაგებობის რეკონსტრუქციის და ნაპირის (პლაჟის) აღდგენითი სამუშაოები.

დაუმთავრებელი პროექტებიდან:

- საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის სარფი-კვარიათის სანაპირო ზოლის კმ117-კმ119 (კალენდერეს კონცხის მონაკვეთი) ნაპირსამაგრი ნაგებობის სამუშაოების უმეტესი ნაწილი (23 729 246 ლარის ღირებულებით) დასრულებულია. დარჩენილი სამუშაოების განსახორციელებლად დაწყებულია ტეტრაპოდების ტრანსპორტირება, ადგილზე დასაწყობებულია 20 000 მ³-ზე მეტი რაოდენობის ქვიშა-ხრეშოვანი ნარევი.

ზღვის ზემოქმედებისგან დამცავი ბერმის მოსაწყობად საჭირო ქვის მოსაპოვებლად, კომპანიამ 2018 წლის დასაწყისში მიიღო ნებართვა, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალახმელისა და სოფელ მალაკონის მიმდებარე ტერიტორიიდან 25 000 მ³ საშენი მასალის (ანდეზიტო-ბაზალტის) მოპოვებაზე, საიდანაც კომპანიამ მოიპოვა მხოლოდ 1 200 მ³ საშენი მასალა, ვინაიდან კარიერში ფაქტიურად არ აღმონდა საჭირო რაოდენობის (1,65 მ დიამეტრის) ქვა, რომელიც პროექტით არის გათვალისწინებული.

ამჟამად, დარჩენილი ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობის სამშენებლო სამუშაოები, დროებით შეჩერებულია, ვინაიდან პროექტით გათვალისწინებული იმ ზომის და მოცულობის ბუნებრივი ქვის მოპოვება სამშენებლო მონაკვეთის ახლო არეალში ფაქტიურად შეუძლებელია. აღნიშნული გარემოების გამო მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაციაში მზადდება შესაბამისი ცვლილებები, რის შემდეგაც განახლდება დარჩენილი სამშენებლო სამუშაოები, რომლის სახელმწიფო შესყიდვას სავარაუდოდ განახორციელებს, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, ან მუნიციპალური განვითარების ფონდი.

ასევე გაცნობებთ, რომ, კომპანიის მიერ სამუშაოების განხორციელების მთელ პერიოდში, საზედამხედველო სამსახურების მიერ, რაიმე სახის გამოვლენილ ხარვეზებს, ადგილი არ ქონია.

სამუშაოების საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნების და საპროექტო დოკუმენტაციის ასლებს, მათი დიდი მოცულობის გამო, მოგაწვდით იმეილზე (გთხოვთ გვაცნობოთ).

სამუშაოები ხორციელდება საქართველოს მთავრობის განკარგულებების საფუძველზე და კომპანიასთან ხელშეკრულება არ გაფორმებულია.

პატივისცემით,

შალვა შავიშვილი
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

